

ხარატიშვილების გვარის წარმოშობის ისტორია

ადამიანის გვარ-სახელი თავისი შინაარსით ისეთივე სუბიექტია, როგორც ტომი ან ერი, რომელსაც გააჩნია საკუთარი სამშობლო და მოქმედების განმსაზღვრელო სარბიელი.

ხარატიშვილები შვილზე დაბოლოებული დასავლური წარმოშობის ცნობილი ქართული გვარია. იმ სტატისტიკური მონაცემებით, რაც შეტანილი აქვს ა. სილაგაძეს და ა. თოდაძეს „გვარ-სახელები საქართველოში“ ხარატიშვილები საქართველოში 1904 კაცია. (თბ. 643, ქუთაისი 186. ხარაგაული 139) ცხოვრობენ გორში, ტყიბულში, ყვარელში, ახმეტაში, კასპში. გვარის წარმოშობის ძირი არის ხარაგაულის რ-ნის სოფლები, უჩაბეთი და ლაშე-ღვერკი. ხარატიშვილები მრავალრიცხოვანი გვარია და გავრცელებულ 1000 გვარში 466 ადგილზეა. ხარატიშვილების ძე-ზე დამთავრებული ფორმაა ხარატიძე. ხარატიშვილები ძირითადად იმერეთში მცხოვრები არიან და ისინი შემდეგ გადასულან საცხოვრებლად კახეთში.

გვარის ფუძე არის ხარატი, რომლისგანაც მიღებულია ხარატიშვილი, ხარატიძე (ხარატიძე სულ არის 136, ოზურგეთში 65, თბ 34, ბათუმი 28).

საქართველოში სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთმა ქართული გვარები ძე-ზე და შვილებზე დამთავრებული შეცვალა ოვით და ევით, ასე გახდა ბარათაშვილები- ბარათოვები, ანდრონიკაშვილები-ანდრონიკოვები, ჩოლოყაშვილები-ჩოლოყაყვად, მესხიშვილები-მესხიევი, ხოლო ხარატიშვილები გახდნენ ხარატოვები. ხარატოვი (თბ. 40, გურჯაანი 9, თელავში- 3) არსებობს გვარი ხარატიანი, რომელიც ზემოთაღნიშნულ გვარიდან ან სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული. ხარატი- ქართული სიტყვაა და ნიშნავს ხის და რკინის გამომჩარხავ-გამომკვეთ ოსტატს.

ხარატიანი სულ 76 კაცია (თბ. 52, ბოლნისი 7, რუთავი 3 და ა.შ) ვ.ზუხუბაია „ქართული გვარები აფხაზეთში“ წერს რომ აფხაზური გვარების უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა, აფხაზეთში მცხოვრებ ქართულ გვარებს შორის ასახელებს ხარატიშვილებსაც (გვ 10)

ილია მაისურაძე თავის ნაშრომში „ქართული გვარები“ აღნიშნავს, რომ ხარატიშვილების გვარის ძირი ხარაგაულის რ.ნი სოფ. უჩაბეთი და ლაშეა, ასევე ამბობს, რომ გვარი წარმომდგარია ხელობა მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვა ხარატისაგან.

გვარები სხვადასხვა გზებითა და საშუალებით იქმნებოდა, წინაპართა და შერქმეული სახელებისაგან, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვიდან და სხვა.

ხარატიშვილი ხარატი-ხარატიძეები-ს წინაპარი ხარატი ყოფილა, რომლის შთამომავლებს წინაპრის ხელობა-მოსაქმეობა გაუგვარებია და დღეს ხარატიშვილი, ხარატი-ხარატიძეები ჩამოყალიბებული ცნობილი გვარია.

ხარატიშვილებზე - გვარის ისტორიის მასალა მწირია, რაც გამოწვეული იყო ხშირი შემოსევებით, დარბევებით და დოკუმენტების განადგურებით, გვარის ისტორიის დადგენისათვის გარდა დოკუმენტური მასალისა გამოიყენება ხალხური საქმეები, ლეგენდები და ოჯახში შემორჩენილი გადმოცემები.

ხარატიშვილები - ადრეულ საუკუნეში ქართლშიც მოიხსენიებიან. გვარი მოიხსენიება 1721 წლიდან. საბა ასათიანისა და სომხეთის აღწერის დროს გორის რაიონის სოფ, ვარდისუბანში მებატონე არემაშვილების კომლექსში მოიხსენიება გულია და მარკოზა ხარატიშვილები

ხარატიშვილები მოიხსენიება 1763 წ ქალაქის მოურავის ნასყიდობის წიგნში - ვინმე ელიზბარ, ზურაბ და შერმადინ ხარატიშვილები - ისინი იყვნენ მებატონე თომა კენჭიშვილის კომლექსში.

ხარატიშვილები მატ. დოვლათის შემქმნელ სფეროს მიეკუთვნებიან, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას. ისინი მოღვაწეობდნენ როგორც საერო ისე სასულიერო სფეროში. ხარატიშვილები კარგი მეომრები ყოფილან- ხარატიშვილები ციხე-სიმაგრეთა მცველ-მეთვალყურენი იყვნენ და ომში მეწინავე ლაშქარს წარმოადგენდნენ.

რეპრესიების წლები შეეხო ხარატიშვილების გვარსაც, რეპრესირებული იყო გიორგი ხარატიშვილი სანდრო ახმეტელთან ერთად, მან 7 წელი მოიხადა გადასახლებაში, ასევე რეპრესირებული იყო იოსებ და ლევან ხარატიშვილების მამა - ალექსი ხარატიშვილი.

მე-20 საუკუნეში ხარატიშვილებმა თვალსაჩინო ინტელიგენცია შექმნა, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროში, 1) იოსებ ხარატიშვილი - საქ. პარლამენტის წევრი; 2) ლევან ხარატიშვილი - აკადემიკოსი; 3) გურამ ხარატიშვილი - აკადემიკოსი; 4) ვაჟა ხარატიშვილი - ღირდების ორდენის კავალერი; 5) გიორგი ხარატიშვილი - 3 წიგნის ავტორი; 6) გივი ხარატიშვილი - გადამდგარი მაიორი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სწერია, რომელიც ჩარხზე ახარატებს, ჩარხავს ხის ან ლითონის ნაკეთობებს (ქეგლ. თბ. 1986, გვ. 575).

სულხან-საბას ლექსიკონი სმიხედვით ხარატი ყოფილა: „ხის ჭურჭლის მხეწელი“ მეორე განმარტებით: „ხარატი- ხის მხეწელი ჭახრაკითა, ფუკათა მთლელი.“ იმავე ლექსიკონის მიხედვით ირკვევა, რომ „ჭახრაკი“ საბრუნავი ყოფილა, ხოლო : „ფოკა - ესე არს ხეთაგან ნათალი: ტაბაკი, სიფლი, როგო,თეფში, პინა, კოკა და რაიცა ხეთაგან ჭურჭელია“. (სულხან-საბა ორბელიანი, თბ. 1993 გვ. 203, 399, 417).

სიტყვა ჩარხი გვიან დამკვიდრდა ქართულ ენაში. ხარატი ჩარხით კი არ ჩარხავდა ძველ საქართველოში, ხარატი ჭახვანით ახარატებდა. თანაც მაშინდელ ხარატს ლითონებთან საქმე არ ჰქონია, ხეზე მუშაობდა და ძირითადად ჭურჭელს ამზადებდა თურმე.

დიდი მსჯელობა არ გვჭირდებოდა იმის სავარაუდოდ, რომ ხარატიშვილთა წინაპარი ხარატი იქნებოდა. შესაძლოა და ალბათ ასეც იქნებოდა, რომ ეს ხელობა ხარატიშვილების გვარში ტრიალებდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს ის ფაქტი, რომ იმერეთში, ოკრიბის მხარის სოფელ ძმუისში მცხოვრებ ხარატიშვილებს მეტგვარად ჯამ-ქოთანებს ეძახიან. ხარატობა ძველ საქართველოში მეჭურჭლეობას ნიშნავდა.

ხარატიშვილი ხელობა - საქმიანობის არმნიშვნელი გვარსახელია, ამ ტიპის გვარსახელების: ხარაზიშვილის, თოფჩიშვილის, მჭედლიშვილის, ფეიქრიშვილის, მექვაბიშვილის, მკალავიშვილის, დურგლიშვილის, მჭედლიშვილის და სხვათა მსგავსად ეს გვარიც მრავალძირიანია და შესაბამისად მრავალბუდიანი.

შეუძლებელია დავუშვათ, რომ ყველა ხარატიშვილი ერთი ვინმე ხარატი წინაპრის შთამომავალია. ხარატი ბევრი იყო საქართველოში და ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ სხვადასხვა საუკუნეში, სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ხარატების ზოგიერთი შთამომავლებს ხარატიშვილობა გაუგვარდათ.

ჩვენ გავნასხვავებთ გვარის ორგვარ მცნებას, გვარსახელს და გვარდენილობას. ამათგან პირველი ფილოლოგთა და ენათმეცნიერთა შესწავლის საგანია, ხოლო მეორე ისტორიკოსთა და ეთნოლოგთა.

გვარმოდენილობა ერთსისხლობაა წინაპრიდან შთამომავლამდე, საერთო წარმომავლობის სანათესავოა, ხოლო გვარსახელი ამ ერთსისხლი სანათესავოს სახელწოდებაა. ხარატიშვილთა გვარსახელი, ხარატიშვილთა რამოდენიმე გვარმოდენილობას აერთიანებს.

ხარატიშვილთა ერთი ყველაზე მსხვილი სანათესავო ჯგუფის ანუ გვარმოდენილობის ბუდე - პირველსაცხოვრისი ყოფილა იმერეთში. ეს არის ხარაგაულის რაიონი სოფელი ღვერკი. ღვერკიდან წამოსულებად თვლიან თავს: ზესტაფონის, ტყიბულის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, კასპის, ყვარელის, ლაგოდეხის და სხვა ხარატიშვილები. ხარატიშვილის გვარის გავსახლებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი და დავინახავთ რომ ამ გვარს განსახლების არეალი უფრო ფართოა, რომ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში კიდევ ცხოვრობენ ხარატიშვილები, რომლებიც წარმოშობით ღვერკელები არ არიან. როგორც ჩანს ისინი სხვა ხარატის ან სხვა ხარატების შთამომავლები არიან.

ღვერკი პატარა, ლამაზი სოფელია ჩხერიმელას ხეობაში, ხარაგაულის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 3-4 კილომეტრის მოშორებით. იქ ხარატიშვილები დღესაც ცხოვრობენ. სოფელში არსებობს ცნება „გასახელებულ გვარი“, ანუ ღვერკელი ხარატიშვილების გვარს თავისი შიდასტრუქტურა აქვს. იმერული „გასახელებული“ იგივეა რაც საქართველოს სხვადასხვა მხარეში არსებული, გვარის განშტოების აღმნიშვნელი ტერმინები: „საგნებული“, „ბაბუიშვილობა“, „ბუნი“, „ბუდობა“, „კომობა“, „მამანი“, „მამიშვილობა“, და სხვა. ღვენში ხარატიშვილთა ოთხი გასახელებული გაიხსენეს:

გვიტიაშილები, თანდილაშილები, ბერიკაშილები და ხვისიაშილები. ოთხი შტო ყოფილა ოკრიბაში ძმუისელი „ჯამ-ქოთანა“ ხარატიშილები : მელქიასანი, ივანესანი, ლიკაისანი და დიმიტრიასანი.

ამჟამად ხარატიშილთა განსახლების არეალი საკმაოდ ფართოა. ხარატიშილები ცხოვრობენ: ხარაგაულში და ხარაგაულის რაიონის სოფლებში: ღვერკში, ლაშეში, ხემაღალში და უჩამეთში; ზესტაფონში და ზესტაფონის რაიონის სოფლებში ზედა საქასრიაში, ქვედა საქასრიაში და შორაპანში; თერჯოლაში წყალტუბოს რაიონის სოფელ თერნალში, ჭიათურაში და ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში; ტყიბულის რაიონის სოფელ ძმუისში, ძიროკანში, ხრესილში, გურნაში და ორპირში; ქალაქ ზუგდიდში, ახალციხეში და ახალციხის რაიონში სოფელ ზიკილიაში, ადიგენში და ადიგენის რაიონ სოფელ უდეში; ბორჯომში და ბორჯომის რაიონ სოფელ ზანავში; ხაშურში და ხაშურის რაიონ სოფელ ტეზერში; სურამში და ახალშენში; ქარელში და ქარელის რაიონ სოფელ კეხიჯვარში და აგარაში; გორში და გორის რაიონ სოფელ ხიდისტავში; კასპში და კასპის რაიონის სოფელ ახალციხეში, ახალქალაქში , დოესში, მეტეხში და თვალადში; მცხეთაში და მცხეთის რაიონ სოფელ ზემო ავჭალაში; ბოლნისის რაიონის სოფელ კუმისში, სამგორში და ნორიოში; თიანეთში, ახმეტაში და ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში; თელავში, ყვარელში, გურჯაანში და გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, ჯანრადაში და ველისციხეში; სიღნაღში, ლაგოხეში და ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიაში, ყარსუბანში, ვარდისუბანში, ცოდნისკარში და გელათში და სხვაგან. ქუთაისში ხარატიშილთა დაახლოებით 160 ოჯახის ცხოვრობს.

საქართველოში ხარატიშილთა დიდ- პატარის, ქუდოსან - მანდილოსანის საერთო რიცხვი 2000 აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს ხარატიშილთა გვარი.